

მეფე ერეკლე- ხელნაწერებით გაცოცხლებული ისტორია

მეფე და მამა

მეთვრამეტე საუკუნე. ორად დაყოფილი საქართველო. თელავის ქართლ-კახეთის მეფის სასახლე. ერეკლე მეორემ როგორც იქნა დარბაზობა დაამთავრა და დაღლილი მოსასვენებელ ოთახში გავიდა.

მეფის ოთახი საკმაოდ პატარა და მოკრძალებული იყო, შეიძლება ვერც კი მიმხვდარიყავით, მთელს ევროპასა და აზიაში სახელგანთქმულ ადამიანს რომ ეკუთვნოდა. ერეკლემ ფანჯრიდან გაიხედა. ცივი ჰაერი ზამთრის დაწყებას მოასწავებდა. წითელ-ყვითელი ფოთლები აქა-იქ შემორჩენილიყო ხეებზე, დანარჩენი კი მიწაზე დაფენილიყო ხალიჩასავით. არც თუ ისე შორს ჩანდა კავკასიონი, სადაც ზამთარი ნაადრევად იყო დამდგარი და თეთრად შეემოსა მწვერვალები. თოვლს ღრუბლებთან ერთად აერეკლა საღამოს მზის სხივები და მოვარდისფრო ფერს იღებდა. გარემოც თითქოს საქართველოს მდგომარეობას მოგაგონებდათ.

მეფე ჩაფიქრდა. საფიქრალი ბევრი ჰქონდა. ყველა მათგანი კი ერთ წერტილში იყრიდა თავს- სამშობლოს ბედისკენ.

კარზე კაკუნი გაისმა. ერეკლეს წერილი გადასცეს. მეფემ დახედა, ოდნავ გაეღიმა და გულში სითბო ჩაედვარა. წერილზე თეკლა ბატონიშვილის ხელწერა იყო.

მეფემ ხუთი წლის თეკლას პირველი წერილი გაიხსენა და ახლანდელს შეადარა.

გაიფიქრა: “ნაწერი ისევ არ გამოუსწორებია. ბევრად დახვეწილი კია, მაგრამ არაბულს უფრო ჰგავს.”

მართლაც, თეკლას ნაწერი ერთი დახედვით ლამაზი, მაგრამ გადახლართული და ოდნავ გვერდზე გადახრილი იყო, ნამდვილად არაბულს ჰგავდა.

ერეკლეს, რა თქმა უნდა, ყველა შვილი უყვარდა, მაგრამ თეკლას მიმართ განსაკუთრებული გრძნობები ჰქონდა. ჯერ კიდევ მაშინ შეარქვა მას “თეკლა-ბიჭი”, როდესაც ოთხი წლის თეკლამ ცხენზე ჯდომის სურვილი გამოთქვა. პატარაობიდანვე ჯიუტი და მებრძოლი ხასიათი ჰქონდა, თავისი დებისგან განსხვავებით, “თეკლა-ბიჭს” ყოველთვის უყვარდა ძმებთან ერთად თამაში. დიდი ინტერესით ადევნებდა ხოლმე თვალს ვაჟკაცებს, რომლებიც საბრძოლველად მიემართებოდნენ. არაერთხელ გაჰყოლია თავადაც საკუთარ მამას და არაერთხელ გაუოცებია გარშემომყოფნი თავისი გამბედაობით. მიუხედავად იმისა, რომ ერეკლემ მას “თეკლა-ბიჭი” შეარქვა, მამის მიმართ იგი ნამდვილი ქალიშვილის მზრუნველობით თავს ევლებოდა ხოლმე.

თეკლა წერილში მამას თავისი ამბების შესახებ უყვებოდა და ატყობინებდა, რომ სულ მალე ჩამოვიდოდა. თან, მადლობას უხდოდა შაქარყინულისთვის და ბროწეულისათვის. ბოლოში მიწერილი ჰქონდა მის მიერ დაწერილი ლექსი.

იცოდა ერეკლემ თავისი შვილის სისუსტე ტკბილეულისადმი და ამიტომ, ყოველთვის ჰქონდა გადანახული შაქარყინული. საყვარელ მეფეს გლეხები ძღვნად მიართმევდნენ ხოლმე საკუთარი ბაღებიდან ხილს და საუკეთესოს კი მეფე შვილებს უნახავდა.

ერეკლემ ლექსის კითხვა დაიწყო და უეცრად მიხვდა, თუ როგორ მოენატრა მის მიერ დაწერილი და წაკითხული ლექსები. თეკლას ყოველთვის იტაცებდა ლიტერატურა და პოეზია. თავის ლექსებს უკითხავდა ხოლმე მამას, როცა თავისუფალი დრო ჰქონდათ. სინანულით გაიფიქრა, რომ შვილებთან ურთიერთობის დრო არ ჰქონდა. საკუთარ თავს დაჰპირდა, რომ როცა ჩამოვიდოდა, გაიხსენებდა ძველ დროს თეკლასთან ერთად. თუ ამინდი გაამართლებდა კი, იქნებ ენადირათ კიდევ.

და ჩვენ დანამდვილებით ვერ ვიტყვით, შეასრულა თუ არა ერეკლემ ეს პირობა, რადგან თვითონ საქართველოც ხომ ზამთრის პირას იდგა.

ავტორი- თაია ქეთელაური

ასაკი- 15 წლის

ქალაქი/სოფელი- ახმეტის რაიონი სოფ. ქისტაური

სკოლა- ქისტაურის საჯარო

კლასი- X